F788 N 13 666
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 2-რე გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. ორშაბათი იანვარი 1 (14) 1918

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 209 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 209

1918 წლისთვის გაზეთზე ხელის მოწერის პირობები ამ მოკლე ხანში გამოცხადდება.

1917—1918

(გაკვრით)

ჩვეულებრივ წასულ წელს კრულვითა და წყევლით აცილებენ.

სამართლიანი თუ ვიქნებით, არ გვმართებს ასე მკაცრათ მოვეპყრათ ახლად განსვენებულს.

ბევრი კარგი მოგვიტანა!

ნურას ვიტყვით მთელი რუსეთის მოქალაქოებრივ განთავისუფლებაზე, რადგან ჩვენ რომ ჩვენი თავის პატრონი ვყოფილიყავით მოქალაქოებრივი უფლებები უზრუნველყოფილი გვექნებოდა დიდი ხნის წინად.... ჩვენში ხომ არ არსებობს ის ძალები, რომელნიც ამ უფლებებს ჰბორკავენ...

მაგრამ ეროვნულადაც წარმოუდგენელი დიდი, საამაყო ნაბიჯი გადავდგით წინ...

მარტო ერთი ეროვნული საბჭო რათ ღირს? იგი ხომ წინამორბედია საქართველოს დამფუძნებელ კრებისა, საქართველოს სრული თავისუფლებისა!..

ასი წელი „ყაბალახ ახდილი“ ვიყავით, პოლიტიკური თავი არ გვება და სწორეთ ამ წელმა, გასულმა წელმა, დაგვიბრუნა ეროვნული თვითმართველობა.... და არა ისე, როგორც წინათ ვყოფილვართ ჩვეული—ნაწილობრივ—ქართლის, იმერეთის, აჭარის თვითხელმწიფება კი არ აღდგენილა, არამედ სრულიად საქართვე[illegible]

და მცირე რამით ნუ ჩასთვლით რწმენის სფეროში ავტოკეფალობის განგრძობას; მეცნიერებაში—უნივერსიტეტის გახსნას; ხელოვნებაში—ოპერის დაარსებას!

მადლიერი ვიყოთ წარსული წლის!

გვირგვინათ ყოველი წარმატებისა უნდა ჩაითვალოს ქართველი ჯარის შედგენა:

ვერც ბედნიერმა დრომ „ოქროს ხანამ“, თამარის ეპოქამ, ვერც გაჭირვებამ დაქსაქსულის საქართველოისამ საშველო საუკუნოებში ვერ შექმნეს გაწვრთნილი ჯარი, ეს ბურჯი ერის რწმენისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა...

ეს დაგვიტოვა 1917 წელმა!

და მისი წყალობის დასამკვიდრებლათ, გასაფურჩქვნელად ორი რამ მოგვიტანოს ნორჩმა მემკვიდრემ—1918:

მომადლოს ნიჭი საქართველოს შვილებს თამამად იხმარონ „ვერ“ და „არ“, რომ ნალბანდმა ჩოხის შეკერვაზე უარი სთქვას და თერძმა მკურნალობა არ დაიჩემოს—ეს არის უდიდესი ჩვენი ნაკლი...

და მეორეც—მოგვმადლე ნიჭი, 1918 წელო, მცოდნე უმეცარს ვარჩიოთ, თუნდაც ათასჯერ მოწინააღმდეგე იყოს იგი მცოდნე და მეცნიერი!

სხვაფრივ, [illegible], მხიარული შევეგებოთ მომავალ წელს!

მან დაგვირგვინებიოს წარსულ წელში კეთილი ნაშრომი და წრფელად ნაგრძნობი ხალხისა!

ნ. ლ.

რა მოგვცა 1917 წელმა.

მესანიშნავი იყო წასული წელი! არა მარტო საქართველოსა და რუსეთის ცხოვრებაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში საგულისხმოთ აღინიშნება 1917 წელი. რუსეთის რევოლუცია და მისი შედეგები ყველასათვის დიდი ისტორიული გაკვეთილი იქნება.

ყოველივე ეს თავის დროზე შესაფერათ იქნება აღნიშნული—დღეს კი მკითხველო მე მინდა შენი ყურადღება იმას მივაქციო რაც ჩვენ უფრო გვაინტერესებს და რასაც უფრო სადღეისო მნიშვნელობა აქვს.

წარსულმა წელმა რუსეთის მოძველებულ წესწყობილებაზე დამყარებულ სახელმწიფოს განახლება უბძანა და ჩვენს დამონებულ ქართველ ერს, თავისუფლების ვარსკვლავი დაგვანახვა. საქართველოს თავისუფლებაზე ლაპარაკი ოცნების ნაყოფათ მიაჩნდათ, საქართველოს თავისუფლებაზე მოაზროვნე ქართველს შინაურები გატაცებულათ სთვლიდნენ გარეულები კი დამნაშავეთ-და აი შეიცვალა გარემოება და საქართველოს თავისუფლება საქვეყნოთ გამოცხადდა საქართველოს ავტონომია დღეს უცილო ჭეშმარიტებათ არის აღიარებული. ის, რაც ქართველ მწერალთა იდეალს შეადგენდა, ის, რაც წინაპართა ანდერძით მომავალ თაობას მცნებათ ესახებოდა, წარსულ წელში განსახიერდა და სადღეისო საგანათ გადაიქცა.

საქართველოს პოლიტიკური ტერიტორიული ავტონომია წარსულმა წელმა მომავალს აღსასრულებლათ გადასცა. აი რა მოგვცა 1917-მა წელმა.

ჩვენი კეკლუცი სამშობლოს სული წარსული წლის რევოლუციამ საპყრობილეს უფსკრულიდან გამოიყვანა და უვნებლათ ჩაგვაბარა. ახლა მომავალი წლის საქმეა მონობაში დაავადმყოფებული, ფერმკრთალი, სულ მიხდილი, ვერაგი და უხეში ჯალათებისგან ნაწამები და სიღრმემდე გამოლეული მოარჩინოს გაამაგროს თავის ზნოსა და ლაზათზე მოიყვანოს და მსოფლიო ასპარეზზე დასვას. აი ეს გვიანდერძა წარსულმა წელმა!

ბევრი რამ საგულისხმო გვაჩვენა წარსულმა წელმა ჩვენში ყველას ეგონა რომ ფული საუკეთესო იარაღია ცხოვრებისათვის, საერთო რწმენა იყო, რომ ფულით ყველაფერი იშოვებაო; ვისაც ფული ქონდა, იმას თავი უზრუნველ ყოფილათ მიაჩნდა. ვინ იტყოდა, რომ ფული საუკეთესო ქონება არ არისო? ვინ გაბედავდა მის მტკიცებას, რომ ფულს სხვა რამე ნივთიერი ქონება შეედარებაო. ფულით ყველაფერი კეთდება და უფულოდ არაფერიო აი ამას ამბობდა ყველა და ასეთი რწმენით ფულის შეძენას ცდილობდა. წარსულმა თვალსაჩინოთ დაგვიმტკიცა ამგვარი შეხედულების სიყალბე. შემცირდა მუშა ხელი, გამოილია სურსათი, გაძნელდა მისვლა მოსვლა, გახშირდა ბოროტება, გაძლიერდა გამდიდრების მადა; მიატოვეს მეურნეობა, გამეფდა პოლიტიკა, იმატა სიზარმაცემ, იკლო მომჭირნეობამ, გამწვავდა ცხოვრება; ომსა და რევოლუციას მოჰყვა შიმშილი. აი ეს არ გვეგონა, აი ამას არ ველოდით! **დავრწმუნდით რომ ფულს სანოვაგე სჯობნებია.**

თავისუფლების გაგონებამ გააძლიერა მჭერმეტყველება, პოლიტიკურმა სიტყვებმა დაატკბო სმენა და აამოძრავა გრძნობა, მაგრამ კუჭმა თავისი არ მოიშალა და თავისი მოთხოვნილება რევოლუციის ხათრით არ შეამცირა. პირიქით, დახეთ ადამიანის ბუნების ახირებულობას! რაც მოგვაკლდა, სწორეთ ის უფრო მოგვინდა, რაც გამოილია, ის მოვითხოვეთ. დამტკიცდა რომ რევოლუციით შიმშილი ვერ მოვიქარვეთ. ეს არ გვეგონა, ამას არ ველოდით და თადარიგი ვერ დავიკავეთ. შევცდით, მაგრამ ეს შეცდომა ჭკუას გვასწავლის.

ესეც წარსული წლის წყალობაა.

რათ დაგვემართა ეს?

რუსეთიდან შემოტანილი პურის ფქვილმა შიმშილი დაგვავიწყა და ადგილობრივ მეურნეობაზე გული აგვიცრუვა. უცხოეთის ქარხნებს და ფაბრიკებში დამზადებულმა საქონელმა ადგილობრივი წარმოება დაგვავიწყა და ყველაფერს გაკეთებულს შევაჩვია. არაფერის გამოლევას არ ვფიქრობდით, არაფრის სიძვირე არ გვაწუხებდა. მეურნეობა ჩვენში ათვალისწუნებული იყო, მეურნეობა და მებოსტნეობა გასართობი საქმე გვეგონა. ხახვსა და კარტოფილზე სერიოზული ვაჟბატონი ლაპარაკსაც არ კადრულობდა. სასურსათო კომისია ქალაქის გამგეობაში ზოგიერთ ხმოსანს [illegible]-მოსაწყენ საქმეთ მიაჩნდა. სასმელ-საჭმე[illegible] დღემდისაც ყველას უნდოდა მაგრამ ამაზე ზრუნვა თითქოს არავის სჭირდებოდა. ყოველ შემთხვევაში ერთი წყება ხალხი შრომობდა, ზრუნავდა და ერთი წყება კი მზა-მზარეულს ღებულობდა, მოხმარებლის მდგომარეობა მწარმოებელს არ ესმოდა.

წარსულმა წელმა სულ სხვა სურათი დაგვიყენა თვალ წინ—სურსათის საკითხმა ყველა შეაწუხა, ყველა დააინტერესა და ბოლოს ყველა იმას [illegible], მაგრამ გვიანღა იყო.

რაც ადვილათ [illegible], ის ადვილათ არ დაეწყობა.—არ გვეგონა თუ ასე მოხდებოდა, მაგრამ მოხდა. ეს გვაჩვენა და თვალსაჩინოთ დაგვიმტკიცა წარსულმა წელმა. ბევრი გაჭირვება განვიცადეთ და ბევრსაც მოველით, მაგრამ გამოცდილება კი შევიძინეთ. წარსულმა წელმა **დიდი გამოცდილება** მოგვცა!

აწი დავაფასებთ მეურნეობას, აწი დავაფასებთ ოჯახურ ქონებას, აწი ვიზრუნებთ საზრდოს გაჩენაზე. აწი დავრწმუნდებით, რომ ფული ყველაფერი არ ყოფილა. გაჭირვება ძნელია, მაგრამ მითი შეძენილი გამოცდილება ძვირფასია.

რამ ჩაგვაგდო ამ დღეში? განა მარტო სიზარმაცემ? განა მარტო დაუდევრობამ და შინაური საჭიროების შეუგნებლობამ? არა, ჩვენ გვაკლია ერთი თვისება და აი ის [illegible] წელს.—[illegible] არის თადარიგი მომჭირნეობა, მოზოგვა. ჩვენში შეხვდებით მომჭირნე, თადარიგიან ქართველს, მაგრამ საერთოთ ჩვენს საზოგადოებას ეს თვისება არა აქვს. კერძო პირები შეიძლება ბევრიც იყოს ასეთი—მაგრამ საზოგადოებრივ თვისებათ ქართველებს ეს არა აქვთ. ისტორიულათ რომ ქართველები სხვა ღირსებასთან ამითაც აღჭურვილნი იყვნენ ეს ცხადია. ამისი საბუთები ბევრია, რომ ქართველები ძველათ ჭირისა და და ლხინისთვის ემზადებოდნენ, მტერსა და მოყვარეს ანგარიშს უწევდნენ, თავის ქონებას უვლიდნენ და კარგათაც იცავდნენ, მაგრამ ახლანდელ ქართველებში ეს თვისება აღარ არის და აწი თუ გაჩნდება, დღევანდელი განსაცდელი თუ ჩაგვაფიქრებს და აგვიხელს თვალს, ესეც ერთი მხრით წარსულ წელში საგულისხმო განცდის შედეგი იქნება და დეე დღევანდელმა გაჭირვებამ ცხოვრების სარკეში ჩაგვახედოს და ჩვენი სახე კარგათ დაგვანახვოს.

ქართველი კაცი და ცხოვრებაში თადარიგი? ქართველი კაცი და მომჭირნეობა? გავიხსენოთ წინა წლები. განა ჩვენში ზომაზე საჭირო ღვინო იხარჯებოდა? განა ჩვენ სოფლებში ცოტა პირნახული ლპება და ფუჭდება ყანებში? განა ჩვენს ტყეებსა და მთებს მოვლა ეტყობა და პატრონი უჩანს? განა ჩვენში ოთხფეხისა და ორფეხის მოვლა არსებობს? განა ჩვენში მიწა საკმაოდ დამუშავებულია? განა ჩვენში ხილი ფასდება? ბაზარზე მოშორებულ სოფლებში განა ხილი ვისმე სიმდიდრეთ მიაჩნია? განა ჩვენი მეფუტკრეობა სასარგებლოა?

მერწმუნე, მკითხველო! რომ ყველაფერი ვსთქვათ, მითი უნდა დავაბოლოოთ, რომ ჩვენში სამშობლო დედა მიწას ნება აქვს გვითხრას: **„მომშორდით, უღირსნო, ნუ მაცდენთ, თქვენი ზარმაცი ხელები დიდებულ სახეს მიმახინჯებს და უსაქმოდ მოსიარულე ფეხები შეურაცყოფას მაყენებს.“**

ამ სიტყვების ღირსნი ვართ ყველა, მაგრამ თუ ჯერ არ გვითხრა-ეს მიტომ, რომ მონობის უღელი გვედგა კისერზე და იმიტომ გვაპატია. აწი კი—თუ მონობას თავი დავაღწიეთ და ჩვენი ქონების სრული პატრონი გავხდით—ორში ერთი უნდა ვირჩიოთ: **ან ჩვენს მიწა წყალს ღირსეულად მოუაროთ, ან სრულიად მოვშორდეთ.** აი ასეთი საკითხი დაგვიყენა წარსულმა წელმა!

ვნახოთ რას გვეტყვის ახალი წელი!

ტრიფონ ჯაფარიძე.

ქართველი ლაშქრის ეროვნული სული.

ჩვენში დიდი ხნიდან დაჟინებით ავრცელებდნენ ორ დებულებას, რომელთაც სამწუხარო შედეგი მოჰყვა:

პირველი-მშრომელ ხალხს სამშობლო არ აქვსო და თან სიხარულით დასძენდნენ მეორეს ჩვენში მამულის სიყვარული არ ყოფილაო.

ამ ქადაგებამ ის გავლენა იქონია, რომ ერთი უწმინდესი და უდიდესი გრძნობა—გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა-სავინებლად გახდა მართალი უნდა სთქვას კაცმა, საქართველომ თავის მრავალ-საუკუნოიან ისტორიის დროს გამოიჩინა ყოველგვარი განწყობილება სამშობლოსადმი, როგორც მხეცური სურვილი უცხო ქვეყანათა დაპყრობისა და განადგურებისა, ისე ალვირ-ახსნილი კოსმოპოლიტიზმი, და უფრო ხშირათ კი ეროვნულ კითხვებსადმი სრული გულცივობა, ინდიფერენტიზმი.

პირველი დებულება ბავშვურათ გაგებულ მარქსის სიტყვებიდან მომდინარეობს მამა-მთავარი სოციალ-დემოკრატიისა, მა[illegible] „[illegible] სამშობლო არ აქვთო“. მაგრამ ეს სიტყვები სწორეთ ერთგვარი საყვედურია იმ წრეებისადმი, რომელნიც პროლეტარებს (და საქართველოში ამ სახელით მონათლეს ყოველი მშრომელი) სამშობლოს სიყვარულის საშვალებას ართმევენ.

როცა ადამიანს აღარ აქვს დრო დასტკბეს სამშობლოს მშვენიერებითო, შეითვისოს წინაპართა ნააზრევ-ნაფიქრი, ისარგებლოს წარსულ თაობათა ნამუშევარითო, მოკლეთ—შეუერთდეს მამულის სულსა და სხეულს; როცა მხოლოდ ავის შემსწორებლათო ის საჭირო საგანთა მწარმოებლათ არის დაგდებული და „უსიხარულოთ ატარებს დღეებს“, ვით ილია ჭავჭავაძის „უსიტყვო ლაზა“, მაშინ, რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, ასეთს ადამიანს სამშობლო არ აქვსო.

ასეთი მწარე მსჯელობა მხოლოდ დამტკიცებაა უსამართლო წესის დარღვევის საჭიროებისა და ისეთი მდგომარეობის შექმნისა, რომელიც ერის ყოველ შვილს ქვეყნის კეთილდღეობის სრულუფლებიან მონაწილედ გახდის.

ცხოვრებაც ამ გზით მიდის, გაძარცული ნაწილი საზოგადოებისა ეწაფება ეროვნულ დოვლათის სარგებლობისაკენ, და სახელმწიფოებრივი წესწყობილებაც ისეთი მკვიდრდება, რომ უმრავლესობას მისწრაფების აღსრულებას უადვილებს.., დღეს თუ არა ხვალ ერს აღარ ეყოლება „გერი“ და „ღვიძლი შვილი“. პატივმოსილი და უფლება აყრილი...

და ნებაც არ გვაქვს ვილაპარაკოთ „პროლეტარს სამშობლო არ აქვსო“

უფლება—ახდილობის უმწვერვალეს წამსაც იყო რაღაცა სამშობლოში, რაიც მრავალ ღარიბსა და დამაშვრალს თავისკენ იზიდავდა.

საზოგადოებამ, უმთავრესად კი უმდაბლესმა მისმა ნაწილმა სრულიად არ იცის ის ფურცლები ჩვენი ისტორიისა და მწერლობისა, სადაც აღწერილია თავდადება მამულისათვის ლალ-მარგალიტით შემოჭედილ მეფეთა და დიდებულთა კი არა არამედ ჩვარში გახვეულ მოჯალაბეთა, დაიკიანთა და ხაბაზთა.

მათი გაცნობა ახალი ძალას შთაბერავდა მიმქრალ გრძნობას.

ჩვენს ღარიბ მწერლობაშიაც არის რამდენიმე ნიმუში სამშობლოსათვის უანგარო თავდადება: „დიმიტრი თავდადებული,“ „ბაგრატ დიდი,“ „ბედი ქართლისა,“ „თავდადებული ქართველნი“ და კიდევ მრავალი, მაგრამ სამწუხაროთ ეს დღეს არ გამოდგება...

ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ რა ხილია ისტორიული პერსპექტივა და როცა წავიკითხავთ მეფის სიტყვებს:

მაგრამ ვინც სულსაც მამულს არ
სწირავს,
ამას არ ჰქვია მამულიშვილი,

ჩვენ უფრო [illegible] ჩვეულებრივ ენაწყლიანობათ მიგვაჩნია ნათქვამი... ვიდრე საკაცობრიო, ყველა მდგომარეობაში შესაძლებელ მაღალ გრძნობათ...

ზოგჯერ გვეთაკილება კიდეც იმ გრძნობით გავიმსჭვალოთ, რომლითაც მეფე იყო გამსჭვალული.... მეფის მიერ განაცადი გრძნობა გვეჩვენება კონტრ-რევოლუციურ, თითქმის მონარქიულ გრძნობათ... სასაცილოა საკვირველია, მაგრამ ნამდვილი ამბავია!

ვაი ჩვენი უმეცრების ბრალი!...

ჩვენ თუ **ყველა** იმ გრძნობაზე, ცოდნაზე, შემოქმედებაზე ავიღეთ ხელი, რომელიც ჰქონდათ და რასაც აკეთებდნენ მეფეები, დიდებულნი, მტარვალნი და გულზვიადნი, მაშინ უმალ უტყვ ბუნებამდე დავქვეითდებით, ვიდრე ანგელოზამდე ავმაღლდებით..

თვით უბრალო და დიდებულ სიტყვებს ბებერი გლეხებისას:

აჰა, მეფევ, ორი ბიჭი
მხრებში რომ ამომდგომია,
ორივ ჩემი შვილი არი,
ერთი მეორეს მჯობია,
მიირთვი და ინაცვლე
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!

უხეშათ ავხსნით: მონური თავისშეწირვაა მეფისათვისო და ყურადღებას არ მივაქცევთ. უმთავრესს—ორი ჩემი შვილი **ჩემს ქვეყანას მტლად დაუდევო...**

მაგრამ ისტორია და მით უმეტეს ცხოვრება უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე აწ უკვე დაწერილი მოთხრობები და პოემები.

ჩვენმა წარსულმა და აწმყომ იცის არა ერთი ამბავი, რომელიც მარად „ღრეჯიასაც“ კი ჩააფიქრებს და მიუხედავათ ათასი ქადაგებისა აღანთებს გულის სიღრმეში მიჩქმალულ კეთილშობილ გრძნობას მამულის სიყვარულისას.

მათ უნდა გამომზეურება.

ისტორიკოსები მონახვენ..,

შემოქმედი-მწერლები მისცემენ შესაფერ სახეს.

მთარგმნელები გადმოიღებენ უცხო ენებიდან,

ჯარის კაცთა კავშირმა კი საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამ ფრიად საჭირო საქმეს.

მან შექმნა ქართული ლაშქრის
სხეული...

მან უნდა ჩაჰბეროს სული უკვდავი...

უკეთურ, მავნე საქმეს,—რუსეთის აბსოლუტიზმის დაცვას, ხელმწიფის ყურმოჭრილ მონობას ემსახურებოდა ჯარის კაცთათვის განსაკუთრებულათ შედგენილი წიგნაკები.... დიდი სამსახური გაუწიეს ამ წიგნაკებმა რუსეთის ბნელ ძალებს; ნუ დავაკლებთ ამ საშუალებასაც პატიოსან და სამართლიან სურვილს—ძლევამოსილ ქართველი ლაშქრის სულიერათ მომზადებას.

წმინდა და მაღალი მიზნით წიგნაკების მნიშვნელობას გაასკეცებს; და თუ ჭეშმარიტებაა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ტრიალებს, ათჯერ უფრო ჭეშმარიტია, რომ გრძნობა—გონება დახშულ ადამიანის სხეული ფასადაც არ ღირს.

ქართველ ჯარს მაღალი გრძნობა საქართველოს თავისუფლებისა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვისა უნდა აცისკროვნებდეს!

Argon

დღეისთვის.

„ჩვენი თავი დღეს ჩვენ გვეკუთვნის“. მაგრამ ამასთანავე ქართველი ხალხს არასოდეს იმდენი სიძნელე-სირთულე არ წარმოდგომია, იმდენი საფრთხე არ დაბადებია, რამდენიც დღეს. პოლიტიკურ თავისუფლების მოპოებამ განსაკუთრებული პირობები და მოვალეობა წარმოშობა. ამიერიდან ქართული ცხოვრების მიმდინარეობაში ჩვენვე ვიქნებით პასუხის მგებელნი. საქართველოს ეროვნული ფუძე ახლა მკვიდრდება, მაგრამ უზრუნველყოფილი იგი არ არის. ჩვენ გვიდგას კრიზისი ფინასური, სასურსათო და საგარეო პოლიტიკისა. ჩვენ გარეშემო ყველაფერი ბობოქრობს, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. თითქოს დიდიხნით დასვენებულ აზიის ხალხს სისხლი მოსწყურებია. ერთმანეთს ჟლეტენ და ანადგურებენ. ასეთ დროს ერს უღრესათ გამოცდილი და დაკვირვებული მესაჭენი ეჭირვება, არ ვიცით ვინ რას გვიპირებს. ჩვენ, ცხოვრების დამოუკიდებელ ასპარეზზე ახლა შევსდგით ფეხი და ამ დროს კი ფიზიკურადაც წავისუსტებთ. მოსალოდნელია ამით ისარგებლონ ჩვენმა უკეთ დარაზმულმა და უფრო ძლიერმა მეზობელმა ერებმა და დიდი ზიანი მოგვაყენონ.

ჩვენისთანა პატარა ერს თავის ცხოვრებაში იშვიათად დაუდგება ისეთი წამი, რომ მან თავის მოსაზღვრეთადმი ურთიერთობის გაწევა შეძლოს და თავის ინტერესი დაიცვას. პატარა ერი მუდამ სამართლიანობის გზაზე მდგარი ვერ იქნება მეტოქე ან ავანტიურისტი. ქართველები არავის ვედავებით და ყველასთან ძმობა-მეგობრობა გვწყურია.

ხშირათ ხდება, რომ გადასთელავენ სამართლიანობის საზღვარს და ამა თუ იმ ერს მოსპობას დაუპირებენ. ასეთი დღე ყველას დასდგომია და იგი შეადგენს ჩვენთვის დიდ საფრთხეს. ყოველგვარ მოვლენას თავისი ნამდვილი გამოსახულება და ფორმა უნდა მიეცეს.

კავკასიის და ამიერ კავკასიის ხალხთა დავას, რომელმაც ეროვნული ხასიათი მიიღო, ჩვენ განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაუწიოთ. დიპლომატიური მოლაპარაკების ენერგიულად წარმოება გვჭირია ყველა მეზობელ და არა მეზობელ ერებთან. ამასთანავე დროებითი ზავის შედეგებსაც გათვალისწინება უნდა. ვაი თუ მან დიდი მეხი დაგვატეხოს თავს და ტკბილი მოლოდინი გაგვიმწაროს. კავკასიის ბრძოლის ველი ჯარიდან დაიცალა, ფრონტი გაშიშვლდა. დროებითი ზავი არ ნიშნავს საბოლოო ზავს ვინ იქნება იმის თავდები რომ ომი არ განახლდება და ჯერ ხნობით „შეჩერებული“ მოპირდაპირე შემოტევას არ დაიწყებს? ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მაგალითი რომ მეომართა შორის ჯერ საბოლოო ზავი არ ჩამოვარდნილიყოს და ისე საზღვრებზე ლაშქარი მოეხსნათ. ცხადია ეს გარემოებაც განსაკუთრებულ გამოცდილებას დი მოვალეობას გვაკისრებს. ამ საერთაშორისო ომში საქართველო მისდა უნებურად იქნა ჩარეული და ქართველი ჯარისკაცები ძალით გარეკეს იმპერიალისტურ ომის ასპარეზზე. ამიტომ პასუხის გებაც სრულიად აშორებულია საქართველოსთვის. საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებდა პასუხს, მას რომ საერთაშორისო ხელშეკრულება, **1783** წლის ტრაქტატი აღდგენოდა და სახელმწიფოური უფლებები არ წართმევოდა.

საქართველოს ეროვნული საბჭო ვალდებულია ამას ანგარიში გაუწიოს და წაუყენოს ეს მოსაზრება როგორც შინაურებს, ისე გარეულებს, მით უმეტეს, რომ მთელი ერის იმედი ჯერ-ჯერობით ეროვნულ საბჭოზეა დამყარებული.

მართალია მოკლე დროში განახლდა საქართველოს ეროვნული მაჯის ცემა, მაგრამ საქმის კეთებას, შენობის აგებას მხოლოთ ახლა ვიწყებთ, ჯერ ყველაფერი ჩვენი ჩანასახია იმისი, რისკენაც სრულიად ქართველი ხალხი მიისწრაფვის. სახელმწიფოებრივ ცხოვრების მესაჭეობის უნარი **1917** წელია დავკარგეთ და მისი ასე უცბად გამოჩენა იოლი საქმე არ არის. ეს კი გვავალებს შეუჩერებელ საერთო თანამშრომლობას და ერის ყველა ცხოველმყოფელ ძალთა მობილიზაციას.

ერთის მხრით სიხარულით ვეგებებით ახალ წელს. გასულ წელს მოხდა უდიდესი ისტორიული ამბები. აიშვა თავი ტყვე საქართველოს ეკლესიამ, ნოემბრის **19**-ს საძირკველი ჩაეყარა საქართველოს ერთობას და დაარსდა საქართველოს ეროვნული საბჭო, დაიწყო ქართველ მეომართა სამშობლოში შეკრება... **1917 წ.** საქართველოს თავისუფლების პირველი მერცხალი იყო უძნელესი წელი ჩვენთვის **1918** იქნება. ამ წელში გადადის ზავის კითხვა. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ამ წელში ჩვენ რაც შეიძლება სასწრაფოთ უნდა მოვიწვიოთ საქართველოს დამფუძნებელი კრება. დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია და ეროვნულმა საბჭომ ეს ყურად [illegible] სავსენი, ძალთა მოკრებილნი ულოცავთ ქართველ ხალხს ახალ წელს და მასთან ერთად ვიტყვით: გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

ი. იმერელი.

მაშინ და მხოლოდ მაშინ.

(საახალწლო).

დღეს ხალხი რასაკვირველია ჩვეულებას არ უღალატებს გილოცავთ ახალს წელს, ღმერთმა მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოს და სხ. ამის მსგავსებს ადგილი ექნება დღეს, როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლად. ამ სიტყვებით მიმართავს დღეს ნათესავი ნათესავს, მეზობელი მეზობელს, მეგობარი მეგობარს, დაიწერება და გაიგზავნება მილიონობით, მისალოცი წერილები გაფრინდებიან ერთი ადგილიდან მეორისაკენ დეპეშები...

წარსული წლის პირველ იანვარსაც ადამიანები ტუჩზე კოცნით ულოცავდენ ერთმანეთს ახალი წლის დადგომას.

თითოეული სახელმწიფო, ხალხი, პარტია, ჯგუფი, პიროვნება თავისი საკუთარი მისწრაფება სულისკვეთებით შეხვდა წარსული წლის დადგომას; თითოეული მათგანი ელოდა ახალი წლისაგან თ ვიანთი სურვილების განხორციელებას.

1917 წ. მართლაც და ახალი იყო სხვა წლებთან შედარებით. ამ წელმა სამახსოვრო კვალი დასტოვა განსაკუთრებით მებრძოლ სახელმწიფოთა ხსოვნაში.

მებრძოლი სახელმწიფოები **1917 წ.** განმავლობაში განსაკუთრებული ენერგიით ძალაზედ დაჭიმული ძარღვებით პოტნიდენ ერთი მეორეს. ისინი არ ზოგავდენ ტყვია-წამალს, ნივთიერ იმდიდრეს და, რაც უმთავრესია, ადამიანის სიცოცხლეს ერთი მეორეს გასანადგურებლად, თავისი ბატონობის გასამტკიცებლად, ქვეყნად ჯოჯოხეთის გასაბატონებლად...

1917 წ გააღრმავა და პირამდის აავსო სისხლის და ცრემლის ზღვა. **1917 წ.** შეიწირა არა ერთი და ორი სიცოცხლით აღსავსე ახალგაზდა. ამ წელმა გაადიდა ქვრივ-ობოლთა რიცხვი, ააწიოკა ოჯახების დიდი უმრავლესობა, მისცა მებრძოლ სახელმწიფოებს ათასობით და ათიათასობით ყოვლად უვარგისი ელემენტები, ამ წელმა შეაჩერა გონებრივი, ნივთიერი და ზნეობრივი წინსვლა-განვითარება ბრძოლაში ჩაბმულ ეროვნებათა.

1917 წ. გაადიდგულა ზოგიერთი სახელმწიფო დიდი წარმოდგენის გახადა თავის თავზედ, კიდევ უფრო გაუზარდა სურვილი სისხლის ღვრისა, გაბატონებისა სხვისი დაჩაგვრისა და სხვისი ქონების მითვისებისა. ამ წელმა გამოიყვანა სოროებიდან სიწითლის დამკარგველნი, ხალხის უნუგეშო მდგომარეობით მოსარგებლე ცხოვრების ნაძირალები.

1917 წ. გვაჩვენა, უკვეთ რომ არ შეიძლება ისე, ძველი ბიუროკრატიული რუსეთი. ამ წელმა დაგვანახა ის სიბნელე ის მტაცებლობა, ის სისაძაგლე, ის ღალატი, რასაც საუკუნოების განმავლობაში ქონდა ადგილი რუსეთში. ამ წელმა, უკვეთ რომ არ შეიძლება ისე, გაგვაცნო რუსის ხალხი, ამ უკანასკნელის გონებრივი და ზნეობრივი ავლა-დიდება...

1927 წ. დაიჩქარა რუსეთის რევოლუცია. ამ წელმა ამცნო რუსის ხალხს მტარვალის კლანჭებიდან განთავისუფლების აუცილებლობა, თავისუფლების განთიადის მოახლოება. ამ წელმა გაამწვავა ურთიერთობა რუსეთში მოქმედ პარტიათა შორის და ამ წლის კანონიერი შვილია ის ანარქიაც, რასაც მოუცავს დღეს რუსეთის სახელმწიფო.

ქალაქებისა და სოფლების დარბევა-განადგურება, სხვისი ქონების ტაცება-მითვისება, ქურდ-ყაჩაღების სამარცხვინო თარეში, ცეცხლი საუკუნოებით შექმნილი სიმდიდრის გამანადგურებელი, სისხლის რუტი. ადამიანის ქერქში გახვეული პირუტყვების თარეში თვითნებობა, ადამიანის პიროვნების შეურაცხყოფა. შვილებისაგან სამშობლოს ღალატი... და სხვა სამარცხვინო მოვლენები აი რა მოუტანა რუსეთს **1917 წ.**

1917 წ. მართლაც და ახალი იყო რუსეთის სახელმწიფოში მყოფ არა რუს ერებისათვის. ამ წელმა მისცა ნება საუკუნოების განმავლობაში ცენტრალიზმით დატანჯულთ თამამად ამოეღოთ ხმა და დალაპარაკათ იმ უსამართლობაზე, იმ მტარვალობაზე, რის სიმძიმესაც განიცდიდენ ეს ერები საუკუნოების განმავლობაში ამ წელმა მისცა საშვალება არა რუს ერებს გადაედგათ გაბედული ნაბიჯი თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ემოქმედათ თავიანთი ფეხქვეშ გათელილი უფლების აღსადგენად. **1917 წ.** გაგვაცნო რაინდული ფიზიონომია ადამიანური მისწრაფება სულის კვეთებანი, დიდათ სიმპატიური თავმოყვარეობა უკრაინელების, ფინელების და სხ. რომლების შეგნებული დროს შესაფერი მოქმედება გაკვეთილად ცოცხალმაგალითად მოევლინა და მომენტის შესაფერ სამოქმედოთ დარაზმა „ურწმუნო თომები“ და დოგმით და თეორიებით გატაცებულნი.

არა ჩვეულებრივია **1917 წ.** ჩვენი მრავალტანჯული ერისათვისაც. ამ წელმა, სხვათა შორის, დასვა ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი... ამ წელმა ამცნო ჩვენ ერს მომენტის სიდიადე და მოუწოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ნაწილებს გართიანებისაკენ. ამ წელმა მისცა კატეგორიული წინადადება ჩვენში მოქმედ პარტიებს თავი დაენებებიათ სამარცხვინო კინკლაობისათვის, ჯგუფობრიობისათვის და ხელიხელ ჩაკიდებული ემოქმედათ სამშობლოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ქართველი ერის ფეხქვეშ გათელილი უფლების აღდგენისათვის...

1917 წ. აღადგინა ქართული ეკლესიის, საუკუნოს განმავლობაში უხეშ ძალისაგან ფეხქვეშ გათელილი, ავტოკეფალური უფლებანი...

ამ წელმა აუწყა ქართველ ერს მიჯაჭული ამირანის განთავისუფლების შესახებ სასიხარულო ამბავი...

დღეიდან **1917 წ.** საუკუნოთ ჩაბარდა წარსულს. მის ალაგას **1918 წ.** იჭერს. ეს უკანასკნელი კი დგება იმ დროს, როცა მონასტერი არეულია; როცა რუსეთში ძაღლი პატრონს ველარ სცნობს, როცა მღვრიე წყალში თევზის დაჭერის სურვილით გატაცებულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა სხვაგან და ჩვენში; როცა სურვილი ფართოდ დაჯდომისა, თავისუფლად მოკალათებისა სურვილი გაბატონებისა თვალსაჩინოა თითოეული სახელმწიფოს, ერის, პარტიის, ჯგუფის და, თუ გნებავთ, პიროვნების ცხოვრებაშიაც. **1618 წ.** დგება იმ დროს, როცა ომისა და რევოლუციისაგან მადა გახსნილთა სიტყვა და მოქმედება იმდენად თამამია, რომ უბრალო პატივისცემის გრძნობაც კი ადამიანისადმი დაუკარგავი და პიროვნების შეურაცხყოფა ჩვეულებრივ ხელობად გაუხდიათ.. **1918 წ.** დგება იმ დროს, როცა ადამიანში გაიღვიძა და თავი წამოყო მხეცმა და ამ უკანასკნელის მხეცურმა ინსტიქტებმა. ძნელია წინასწარმეტყველება იმის შესახებ, თუ რას მოგვიტანს **1918 წ.** ის, სასიხარულოდ, მართლაც და ახალი იქნეს. იქნებ მებრძოლი სახელმწიფოები ამ წელში მაინც მოვიდენ გონს იცნონ თავი თვისი, ჩაუკვირდენ ადამიანის პიროვნების შემლახველ, მოქმედებას და ნორმალურ ცხოვრების გაბატონებას, უმაგალითო ომისაგან გაჩაღებულ ცეცხლის ჩაქრობას ხელი შეუწყონ...

ვინ იცის იქნებ ეს წელი მართლაც და ახალი იქნეს ევროპის ომისაგან დაღლილ-დაქანცულ, შინაურ ანარქიისაგან შეურაცხყოფილი რუსეთისათვის... ვინ იცის იქნებ ამ წელმა სიმშვიდე, ახალ ცხოვრებას ნორმალური მიმდინარეობა მიანიჭოს ამ სახელმწიფოს... იქნებ, და ესეც მოსალოდნელია, ანარქია უფრო გაღრმავდეს, გაფართოვდეს და დაღუპვის უფსკრულისაკენ გააქანოს იგი.

ვინ იცის იქნებ ჩვენი-ქართველების-დი-

წელიწადი პირველი № 1.

„ოჩერედი“.

საპოლიტიკო, სალიტერატურო საოხუნჯო, სამეცნიერო და საზოგადოთ ყოველგვარ დარგთა და მიმართულებათა გაზეთი. გამოვა ყოველ დღე, როცა კი რედაქტორი პროვიზიის ყიდვის შემდეგ მოიცლის ანდა როცა სასურსათო კომიტეტიდან დაბრუნდება და კაი გუნებაზე იქნება.

გაზეთის სახელი დროს უნდა შეესაბამებოდეს. ოჩერედიც სწორეთ დღევანდელი დროის შესაფერი სახელია. ის არაოდეს არ დაგვივიწყდებათ და რომ კიდევაც დაგვივიწყდეს, თვითონ გაგახსენებსთ თავს.

ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე წინ წამოგეჭიმება და ყურებში მძლავრათ ჩაგძახებს:

— მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვენ შენდა ღმერთნი უცხონნი ჩემსა გარეშე.

ფასი გაზეთისა ყველასათვის ხელსაყრელი იქნება, რადგან ჩემი გაზეთი, „ჩვენი ქვეყნის“ ქვედა სართულში იქნება მოთავსებული და ვინც ამ გაზეთს გამოიწერს, მას ჩემი გაზეთიც უფასოთ დაეთმობა.

მოწინავე წერილი და გაზეთის მიმართულება.

ქ. ქუთაისი. ძლიერ მძიმე და არეულ დროში მოუხდა დაბადება ჩვენს გაზეთს ,,ოჩერედს''.

რევოლუციის ქარ ცეცხლი უკიდია და სწვავს ყველაფერს. ირღვევა და იშლება ძველი აზროვნება, ტრადიციები და შეხედულება-რწმენანი.

ახლდება ძველი დამყაყებული ცხოვრების ქერქი.

აღარა გვწამსჭრა ძველი ცხოვრებისა!...

ყველგან სინათლე-ბრწყინვალების და ჭეშმარიტების სხივები აშუქებენ...

ყველგან ახალი ცხოვრების ნაკადული გადმოჩუხჩუხებს მთებიდგან კორდზე, ველიდგან მინდვრებზე.. ყველგან ენერგია, სიცოცხლით სავსე ახალი ცხოვრება ანგრევს და ამსხვრევს ერთის მხრივ და აგებს და აშენებს მეორეს მხრივ.

მუშაობა სდუღს და გადმოდის!...

ცხოვრება ღელავს...

გაშმაგებულს ტალღებს კიდეებს სტყორცნის... და აბობოქრებული.

ზღვის მსგავსად ყეფს,

მძვინვარებს!..

ჩვენი გაზეთის მიზანიც, სწორეთ, ამ მსხვრევა-მტვრევა-ლეწვის მსვლელობის აღნიშვნა იქნება.

იგი თვალყურს ადევნებს რევოლუციის მსვლელობას და ეცდება ყოველგვარი სწორი თუ მახინჯი მხარე ამა მოძრაობისა სისწორით და სრულის სინამდვილით იქნეს აღნიშნული და საქვეყნოთ გამომჟღავნებული...

გაზეთი „ოჩერედი“ ყველა პარტიის პროგრამას აღიარებს,

მაგრამ ასრულებით კი მხოლოთ იმას აასრულებს, რომელიც თვითონ მოეწონება და მის გემოვნებას დააკმაყოფილებს..

იგი სიტყვით ყველას ეკუთვნის, საქმით კი არც ერთს,

მაგრამ უპარტიო, მაინც, არ გეგონოსთ!

იგი პარტიულია, მაგრამ რომელ პარტიას ეკუთვნის, ეს თქვენ გამოიცანით!.

იგი სოციალისტებთან სოციალისტი იქნება და არა სოციალისტთან კი არა სოციალისტი!

ესე იგი, მოიქცევა ისე, ვისაც როგორ იამება და მოუხდება!..

ჩვენი ცხოვრებაც ხომ ერთი მეორის მოტყუებაზეა აშენებული?!

ანთელავა მე მატყუებს და ანთელავას მე ვატყუებო!

ამბობენ მეგრელები.

რასაც ბევრს იცრუებ, იფლიდებ და მოატყუებ სხვას, შენს მსგავსს არსებას, მით უმეტეს უზრუნველ-ყოფილი იქნები ყველგან და ყველაფერში.

დღეს, თითქმის, ყველა ასე ცხოვრობს, მოქმედებს და აზროვნებს!..

მაშ, „ოჩერედი“ რაღას დაიშავებს?!

იმას ვინ, რას ეტყვის?!

გაზეთი ხომ ცხოვრების სარკე უნდა იყოს, მისი სახის გამომხატველი, აღმნიშვნელი!!

მაშ, ჩვენი „ოჩერედიც“ ხომ ცხოვრების ნამდვილი, მკვიდრი შვილი იქნება?!

თუ ასეა—გაუმარჯოს ახალ გაზეთს ,,ოჩერედს''!!

ახალი ამბავი თუ ეს მართალია.

ხმებია, ვითომც ჩვენი ქალაქის სასურსათო კომიტეტი აპირებდეს, ყოველ უბანში, ნერვების დასამშვიდებელ საავათმყოფების გახსნას, რადგან ქალაქის მკვიდრი, ვისაც კი საქმე ჰქონია ამ კომიტეტთან ყველა ნერვებ აშლილია.

კომიტეტი შიშს შეუპყრია: ვაი თუ მალე, მთელი ქალაქი შეიშალოს ამ სურსათის ნიადაგზეო. თუ ეს მართალია, დიდის სიამოვნებით ვეგებებით კომიტეტის ამგვარ გონიერ მოსაზრებას, რადგან იგი სრულიად ჩვენი დროის შესაფერი იქნება!..

◆ ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ქალაქის თვითმართველობას დიდი შრომისა და ცდა მუშაობის შემდეგ საიდანღაც შეუტყვია, რომ ყველა იმ ქუჩაში, სადაც დღემდის მცხოვრებლები, უწყლობისა გამო, იხრჩობოდა იქ დღეს ანკარა წყაროები თვითონვე ამოხეთქავენო. სმეტა უკვე შედგენილი და ყველასაგან მოწონებულიც ჰქონიათ, მაგრამ სიხარულით მაშინვე დავიწყების უფსკრულისაკენ უსვრიათ..

თუ ეს მართალია, მცხოვრებლების სიხარული ვერ წარმოიდგენია!.

ქალაქი და მთიდგან მოჩუხჩუხე წყლის ნაკადული!

ხალხის უსაზღვრო სიხარული, აღტაცება!

მიდამოების გაცოცხლება, მკვდრეთით აღდგომა!

უწყლობისა გამო ხალხის წრიალის და ტანჯვების შეწყვეტა!

მტვერიან ქუჩების მორწყვა გასუფთავება!

ჩვენი გაუმაძღარი ,,მებოჭკეების'' პირღია რიყეზე დარჩენა და სხვა...

ნუ თუ ახლაც არ გაიხარებ ნაღვლით სავსე მოქალაქის გულო!?.

წყალი...

წყალი გექნება მალე და ისიც რამდენიც გინდა?!.

◆ თანამედროვე მეცნიერებას აღმოუჩენია, რომ ის ჭინჭეულობა და ფეხსაცმელი, რომლითაც კაცობრიობა იმოსებოდა დღემდის, მავნებელი და სრულიად შეუფერებელი ყოფილა ტანმრთელობისათვის.

რაც ადამიანი ბუნებასთან ახლოა, მით მისი ჯანმრთელობა უფრო უზრუნველყოფილია ყოველგვარ ადვილად გაციებისაგანაო, ამბობენ თურმე ჩვენი, ქართველი, ახალგაზდა მეცნიერები.

თუ ეს მართალია, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

შიშველ-ტიტვლობის ნიშნებს ბევრს ვხედავთ დღესაც და, თუ ღმერთმა მოგვხედა და ასე გაგრძელდა ჩვენი მოვლა-პატრონობა, ვგონებ მალე ყველა ადამ და ევის ტანისამოსში ვიდამებ — ვიკავალერებთ...

◆ ჩვენ შევიტყვეთ, რომ რკინის გზის ერთს ინჟინერს უცნაური კიბე გამოუგონია. ეს კიბე თურმე იკეცება და მგზავრობის დროს შეგიძლიათ დაკეცოთ და სულ ადვილათ ჯიბეში ჩაიკუჭოთ, როცა დაგჭირდებათ კი გაშლით და მოიხმართ.

თუ ეს მართალია, მოგვხედავს ღმერთი?

ჩვენს რკინის გზებზე მგზავრობა ნახევრათ მაინც გაადვილდება.

როგორც ბილეთს, ისე ამ კიბეს ყოველი მგზავრი შეიძენს და ვაგზლებში შესვლა-გადმოსვლის დროს თავპირს აღარ დაიმტვრევს!!!.

ბარათი რედაქტორთან.

ამხანაგო რედაქტორო!

ბოდიშს არ ვიხდი, რომ ,,ამხანაგს'' გიწოდებთ, რადგან დღეს ერთობის ხანაა და ყველანი ერთნი ვართ!

მხოლოთ გთხოვთ ყური დამიგდოთ და ჩემი თხოვნაც შემისრულოთ.

თავისუფლებამ ყველა გაახარა.. ყველას ეშველა. ყველას ცოტა რამ სალავათი მაინც მისცა მან, მაგრამ ჩვენ ცხოველებს და განსაკუთრებით კი ღორებს მაინც არა გვეშველა რა და არა....

დღეს კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩაგვყარა. ამ აწეულმა ფასებმა ადამიანი კიდევ უფრო გაამხეცა გაავეშურა.

აღარ შემარჩინა არც ქმარი, აღარც შვილები. მალე მეც მომისპობს სიცოცხლეს!!

შვილები ყველა ჩემის თვალის წინ მოიკლეს, დამიხოცეს.

გული ნაღვლით ამევსო, სიცოცხლე მომეზიზღა. გადავსწყვიტე თქვენ მოგმართოთ და გთხოვოთ. მიშუამდგომლე ,,ცხოველთამფარველ'' საზოგადოების წინაშე!

ნუ გვხოცავენ ადამიანები ასე საზიზღრათ, შეუბრალებლათ!

ჩვენც ცოცხალი არსებანი ვართ,

ჩვენც მხურვალეთ გვწყურია თავისუფლების სხივ შემოსილი, განახლებული სიცოცხლე!..

ქვრივი მაშკა.

კორესპონდენცია.

ს. ქვიტირი. რაც რევოლუციის ქარბუქი მოედო ჩვენს სოფელს მას აქეთ დღემდის ჩვენი გულითადი სურვილია დავარსოთ ცალკე, დამოუკიდებელი ქვე-

დი ხნის სურვილი 1918 წელმა განგვიხორციელოს... იქნებ „მიჯაჭვული ამირანის“ აშვება, განთავისუფლება.. ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხის საბოლოოდ, ჩვენდა სასარგებლოდ, გადაჭრა ამ წლის საქმე იყოს...

წუთი სერიოზულია... არაჩვეულებრივი ხანა ქართველობისათვის...

ჩემი სურვილია ამ ახალი წლის დასაწყისშივე ჩვენში მოქმედ პარტიებს საბოლოოდ შეეგნოთ მომენტის სიდიადე, ყოველგვარ კინკლაობისათვის, „შენჩემობისათვის“ უარ ეყოთ და შეერთებული ძალით, აწონილ-გაზომვილი მოქმედებით ხელი შეეწყოთ მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლებისათვის და ჩვენი ერის ფეხქვეშ გათელილი უფლების აღდგენისათვის. თუ ეს მოაქვს ჩვენთვის 1918 წელს, გაუმარჯოს მის მოსვლას და მეც მაშინ.. და მხოლოდ მაშინ... მიულოცავ ჩემ ერს ახალ წელიწადს!...

გორგი.

რაშია ჩვენი სისუსტე და ხსნა?

„არც არავის ვემონოთ, არც არავის ვეყმოთ, გარდა დამბადებელისა ჩვენისა„, —აი, მთელი შინაარსი ქართველი ერის ისტორიისა; ამ სიტყვებში შეუდარებელი გამოხატვაა ჩვენ წინაპართა მიერ თავისუფლებისადმი ძლიერი ლტოლვის და სიყვარულის.

ჩვენი ხალხის თავისუფლება კი გამოიხატებოდა სამშობლოის თავისუფლებაში. ამ უკანასკნელისათვის ჩვენი შორეული მამები თვით უძლეველ სიკვდილს ასე ემუქრებოდენ: „სამშობლოს ხელი არ ახლო, თორემ გატირებთ დედასა“ო ჩვენი ერი, მთელი თავის არსებობის განმავლობაში, იბრძოდა თავის სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის. „სამშობლოს არავის წავართმევთ, ვერცავინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“ო აი ჩვენი მამულიშვილთა მისწრაფების შინაარსი.

სავალალო და სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ მამა-პაპათა აზროვნებაში არც თუ ისე ფართოდ იყო გაშუქებული სამშობლოს მცნება. ვერ ვიტყვით, რომ წარსულში იმერელს მთელი საქართველოს შვილად მოქონდა თავი და არა მხოლოდ იმერეთისა. ვერც იმას ვიტყვით ხაზგასმით, რომ საქართველოს გაერთიანება მე-11—13 საუკუნეებში გამოწვეული იყო სავსებით ჩვენი სხვადასხვა კუთხის შვილთა შორის სულიერი ერთობის ღრმა შეგნებით; ეს გარემოება უფრო დავითის და თამარის გენიალობას და მათ პოლიტიკურ გამჭრიახობას მიეწერება. ხოლო იმის თქმაც უაზრობა იქნება, რომ საქართველოს ნაწილები ვერ გრძნობდენ თავიანთ ერთობას ისტორიით, ენით, ზნეჩვეულებით, სარწმუნოებით და შეერთება ბუნებრივ აუცილებლობად არ მიაჩდათ; ამას გრძნობდენ, და ეს გრძნობა თამარის შემდეგ უფრო ცხოველიც იყო, მაგრამ აღმაშენებელს ვერ აღმოუჩნდა ღირსეული მემკვიდრე, რომ ამ გარემოებით ესარგებლნა და მის მიერ დაწყებული საქმე განეგრძო. (პირიქით, ალექსანდრე მეფემ თვითონ დაანაწილა საქართველო).

ულირსი მეფეების და მთავრების წყალობით განუხორციელებელი იდეა საქართველოს მთლიანობისა სამარეში ჩაიტანა სახელოვანმა სააკაძემ,—მოხსენდა უარი იმერეთის დესპანებს, რომლებიც ერეკლე მეორეს შეერთებას სთხოვდენ და—დარჩა დიდი მამულიშვილის სოლომონის რჩევა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ქართველმა ერმა ვერ მოასწრო მიელო მთლიანიანი, გარკვეული და მტკიცე სახე და შეუერთდა რუსეთს არა როგორც საქართველო, არამედ, როგორც ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სხვა. ამ გარემოებით „ერთა-ქამია“ რუსეთის მთავრობამ საუკეთესოდ ისარგებლა. „მან დაასრულა ქრისტიანობის სახელით ისე რაც საუკუნოებით ვერ შესძლო მუსულმანობის სახელით სპარსეთმა და ოსმალეთმა“: მოუსპო ჩვენ ხალხს თავისუფლება და საშვალება მშობლიური ენის შემწეობით წარსული შეცდომა გაესწორებინა. წინათ თუ რაჭველი მარტო რაჭას ეძახდა თავის სამშობლოს დღეს იგი თითქოს მხოლოდ თავის სოფელს სთვლის სამშობლოდ. ლეჩხუმელი გლეხი მზათ არის მედგრათ დაიცვას მტრისაგან თავისი სოფელი ან მაზრა, ხოლო ქართლ-კახეთისათვის იგი მაინც და მაინც თავს არ აიტკივებს.

„მამული!.. ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავ ქონებას ნიშნავს და არა მთელი ხალხის სამშობლო ბინას... ჩვენი ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა“. ეს არის უდიდესი მიზეზი ჩვენი სისუსტის, ეს არის ჩვენი დამღუპველი. [illegible] საქართველოსთვის სიკეთე და წარმატება სურს, მან თავი ანებოს კაბინეტებში უტოპიურ თეორიების თხზვას, გავიდეს ხალხში შეაგნებინოს მას, რომ ჩვენი მამულის ყოველი ნაწილის ბედ იღბალი დამოკიდებულია მთელ საქართველოს კეთილ დღეობაზე და, რომ ყველა ჩვენგანი მოვალეა ერთნაირი თავგამოდებით დაიცვას საქართველოს ყველა კუთხე.

როდესაც ჩვენი გლეხობა შეიგნებს, რომ თავისი, ერთეულების გარეშე სიცოცხლე და ადამიანური ცხოვრება შეუძლებელია, რომ აუცილებელია თავისი მამულის, ენის, კულტურის დაცვა, როდესაც ყველი მათგანი ისე დაუკავშირდება ჩვენ მამულს, რომ ამ უკანასკნელის არსებობაში დაინახავს თავის სიცოცხლეს და მის სიკვდილში თავის გაქარწყლებას, მაშინ იგი გაასკეცებული ენერგიით დაიცავს სამშობლოს (რადგანაც ამ უკანასკნელის დაცვა თავისი თავის დაცვა იქნება) და მის ავლა-დიდებას.

ასეთი გზით ჩვენ შევქმნით ისეთ რეალ-ძალას, რომელიც მისცემს საშვალებას ჩვენ ქვეყანას კვლავ აღსდგეს, აყვავდეს და გაიფურჩქნოს. ავტონომია-რესპუბლიკის მარტო გამოცხადება კი არ კმარა, საჭიროა მოპოებულის დაცვა, ხოლო დაცვა იმისა, რაც არ გაინტერესებს და რასთანაც მჭიდროდ არ ხარ დაკავშირებული, შეუძლებელია.

„ნგრევა“ ყოველთვის წამის საქმეა და ამისთვის მართლაც საკმარისია წუთიერი გატაცებით შექმნილი ფიზიკური ძალა, ხოლო „შენება“ (რაც უკვე დაიწყო), რომელიც ხანგრძლივობას ითხოვს, სრულიად გონების სამეფოს ექვემდებარება. ამიტომ ჩვენ გვიხსნის ხალხში კულტურული მუშაობის გაჩაღება და გამთელება იმ ხიდის, რომელიც დღემდი, ინტელიგენციასა და ხალხს შორის ჩატეხილი იყო.

არა ცალ-ცალკე, არამედ მათი ხელიხელ ჩაკიდებული შეგნებული სიარული (როგორც სხვა, განათლებულ ქვეყნებშია) მოიტანს საქართველოს ბედნიერებას.

სევ. ბუაძე.

22 დეკ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მოქალაქენო და ჯარისკაცებო! ყოველი ტყვია დღემანდელ პირობებში სახალხო განძია, [illegible] ზროთ დახარჯული სახალხო ქონების გაფლანგვაა. სროლა არევ-დარევას და შიშიანობას იწვევს ქალაქში. ამიტომ ამით ვაცხადებ, რომ ყოველი სროლა სადაც არ უნდა იყოს ის, აკრძალულია. ნუ გაისვრით ტყვიას ახალ წელიწად ღამეს! დღეს ზეიმის დრო არ არის, დღეს გვმართებს სიდინჯე და წესიერების დაცვა. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, ქუჩაში, ეზოში ან სხვა ადგილებზე თოფს ან რევოლვერს გაისვრის, შეპყრობილ იქნება მილიციონერების და წითელ რაზმელების მიერ, იარაღი ჩამოერთმევა და ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებული იქნება ჩემ მიერ. მოქალაქენო და ჯარისკაცებო! მოგიწოდებთ გონიერებისაკენ და იმედი მაქვს ისე მოიქცევით, როგორც შეფერის თავისუფლების დამცველთ მოქალაქეთ და ჯარის კაცთ.

გუბერნიის კომისარი **გრ. გიორგაძე.**

◆ **საათის ისრის ერთი საათით უკან დაწევა.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა ქუთაისის გუბერნიის კომისარს აცნობა, რომ 31 დეკემბერს საათის ისარი ერთი საათით უკან დასწიონ.

◆ **საქართველოს მილიცია.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქმნა პროექტი საქართველოს სახალხო მილიციის შედგენისა. ეს პროექტი შეიმუშავა ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციამ.

◆ **სასწავლებლებში საქმის წარმოება ქართულ ენაზე.** ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო კომისარიატმა დაადგინა, რომ ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქის სახალხო სასწავლებლებში საქმის წარმოება პირველ იანვრიდან უსათუოდ ქართულ ენაზე სწარმოებდეს.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** სოფ. ტოლიდან (რაჭა) დიმიტრი ყიფიანიდან კიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო მივიღეთ სამგლოვიარო წერილი.

◆ **ახალციხის ამბები.** ახალციხიდან ამიერ კავკასიის კომისარიატს აცნობინებენ, რომ გაგზავნილ იქმნას ჯარი და ჯავშნოსანი ავტომობილი, მაჰმადიანთა რამდენიმე ასეული ლაშქრის წინაღმდეგ, რომელთაც ქალაქისათვის ალყა შემოურტყმიათ და ულტიმატუმი წარუდგენიათ.

◆ **სენაკის სამაზრო აღმასრულებელი** კომიტეტი პროტესტს უცხადებს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს იმ უზრუნველობისათვის, რომელსაც ის იჩენს და დასძენს, რომ თუ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მეტი აქტივობა არ გამოიჩინა, იმ შემთხვევაში მათ ჩვენ უნდობლობას გამოვუცხადებთ.

◆ **ციხე ქურდობისათვის.** გუბერნიის კომისარმა თითო თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯა ხ. გვაზავას ალექსანდრე ახვლედიანს და ვ. ქორქოლიანს სხვა და სხვა დროზე ბოროტმოქმედებისათვის.

◆ **თავდასხმა** 29 დეკემბერს, ღამით, პოლიციის ქუჩაზე ბოროტ გამზრახველები თავს დაესხენ სიკაშვილის ოჯახს. მილიციონერებისაგან ზომების მიღების შემდეგ ისინი გაიქცენ.

◆ **აკაკი ჩხენკელი** იტყობინება რომ განჯაში უკვე სიწყნარეა ევლახს იქეთ დამსხვრეულა ორი სამხედრო მატარებელი. უმსხვერპლია 80 ჯარის-კაცი. დაჭრილა 200.

◆ **პაპიროსები.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს თბილისიდან მოუვიდა 6 მილიონი პაპიროსი. პაპიროსები გადაეცა ვაჭარ დ. ქებაძეს, რაც უნდა განაწილდეს კოოპერატივთა შორის.

◆ **უწესოება** 29 დეკემბერს საზოგადო საკრებულოს წინ რამდენიმე აფიცერმა ჩხუბი ატეხეს. გაისროლეს რევოლვერებიც. მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ **მოთხოვნილება** ქუთაისში არსებულ აბანოებში მოსამსახურეებმა აბანოების პატრონებს მოთხოვნილება წარუდგინეს ჯამაგირების მომატების შესახებ.

◆ **დახმარება ღარიბებს.** ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ღარიბების დახმარების დარიგებას. ამ მიზნისათვის ყულაბებითა და საღამოს მოწყობით შეკრებილია საკმაო თანხა.

◆ **შაშის მიღება.** გუშინ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო 12 ვაგონი შაშა, რომელიც განაწილდა მცხოვრებთა შორის.

◆ **გზის გაფუჭება.** განჯის ამბების გამო შეწყვეტილი და შემდეგ აღდგენილი მოძრაობა ბაქოსა და თბილისს შუა კვლავ შესწყდა. რადგან ევლახთან მატარებლები ერთი მეორეს დაეჯახენ. ლიანდაგის შეკეთებას რამდენიმე დღე დასჭირდება.

◆ **სტ. ფეიქროვმა** გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ს სასარგებლოდ შემოიტანა 50 მანეთი, რისთვისაც რედაქცია ულრმეს მადლობას სწირავს.

◆ **ქუთაისის ქალაქის** სახალხო მილიციის უფროსის თანაშემწედ არჩეულ იქმნა მე—115 პოლკის ოფიცერი კაკაბაძე.

◆ **შიმშილობა** ამიერ კავკასიის რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტის ცენტრალ სასურსათო კომისიამ აცნობა თბილისიდან მოყოლებული ბათუმამდის არსებულ რკინის გზის მოსამსახურეებს, რომ მათ პურის ფქვილი, რომელიც აქამდის ეძლეოდათ, აღარ მიეცემათ, რადგანაც მათ [illegible] სურსათითაც შეუძლიათ თავი გამოიკვებონ. დღემდის რკინის გზის მოხელეებს თვეში სულზე ეძლეოდათ ორ-ორი ფუთი პურის ფქვილი.

◆ **სიმინდის მოთხოვნა.** ზესტაფონისა და აჯამეთის რაიონების რკინის გზის მოხელეების აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, გაუგზავნოს მათ ერთი ვაგონი სიმინდი, რადგანაც მათ პურის ფქვილი აღარ ეძლევათ.

◆ **ბორჩალოს მაზრაში** საშინელ ყაჩაღობის უჩენია თავი თავს ესხმიან არა მარტო ფოსტას, არამედ მშვიდობიან მცხოვრებლებსაც.

◆ **სიმინდის რეკვიზიცია.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის გამგეობამ დაადგინა არჩეულ იქმნეს კომისია, რომელიც შეიმუშავებს სიმინდის რეკვიზიციის წესს. კომისიაში აირჩიეს: ბ. ფაღავა, ა ლანდია, ლ. გრიგოლია ვ. კანდელაკი და ა. ხინთაძე.

◆ **ს. ფედ. კონფერენცია.** 6 იანვარს თბილისში გაიხსნება ს. ფედერალისტთა კონფერენცია.

— **შუამდგომლობა.** რაჭის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რათა იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ რკინის გზის ლიანდაგი სადგურ ტყიბულიდან გაყვანილი იქმნას ნახშირამდის.

◆ **დარიალის ხეობაში.** როგორც ამას წინად იტყობინებოდენ დარიალის ხეობა ინგუშებს დაუკავებიათ, მართალი გამოდგა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის-კაცებს იარაღი აჰყარონ. მშვიდობიან [illegible] უვნებლივ უშვებენ საქართველოს სამხედრო გზით.

— **დაჭრა** 29 დეკემბერს წყალ გალმა უბანში ორმა მთვრალმა მილიციონერმა ჩხუბი აუტეხეს მეეტლეს რომელიც მძიმედ დასჭრეს.

პროვინცია.

ტყვიბულის რაიონში. უკვე შიმშილობა ჩამოვარდა. ფუთი სიმინდი 20 მანეთად ფასობს. ქუთაისიდან სიმინდი არ მოდის.

— **ცეცხლი.** 27 დეკემბერს ღამით სოფ. გურნაში დაიწვა კოოპერატიული სავაჭრო. ზარალი დიდია.

— **სამკითხველო.** სოფ. ბობოთში დაარსდა კიტა აბაშიძის სახელობის უფასო სამკითხველო.

— **კოოპერატიული სავაჭრო.** ამავე სოფლის მცხოვრებლებმა დაადგინეს გახსნან კოოპერატიული სავაჭრო.

— **სად. წრესილი.** აქაურ სარაიონო სასურსათო კომიტეტში არევ დარევა მოხდა. გამგეობას გაუფლანგავს კომიტეტის ქონება. ჩუმად გაუყიდიათ შაქარი. საზოგადოებამ პრეზიდიუმი გადააყენა.

უკანასკნელი ამბები.

შავი ზღვის ფლოტის უფროსმა კონტრ-ადმირალ ნემიცმა ოფიციალად აღიარა უკრაინის მთავრობა.

—

ამიერ კავკასიის ოლქიდან დამფუძნებელ კრებაზე თითო კანდიდატათ აირჩია 60000 ხმამ. ამგვარად № 1—დან გავიდა 8 კანდიდატი- № 3—1. № 4 (სომხ)—7 № 5—1; № 10 (მაჰმად.)—5; № 11 (მაჰმად.)—1, № 12 (მაჰმად.)—2; ამნაირად გავიდენ: № 1 ნ. ჟორდანია, კ. წერეთელ, კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, არ. ზურაბოვი, ნ. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, მ. სკობელევი; № 3—ვ. ლუნკევიჩი: № 4—ს. ზორიანცი, მ. ოვანესიანცი, ა. ოგანჯანიანცი, ი. ზავრიევი, ა. შახატუნიანცი, კ. ამბარწუმიანცი, ო. კაჩაზნუნი; № 5—სტ. შაუმიანცი, 10. მმ. იუს. ჯაფაროვი, ალ. მარ. ბეკ. თოფჩიბაშევი. მმ. რასაალზადე, ნას. ბეკ. უსუბბეკოვი. გას. ბეკაგაევი; № 11- ჯაფარ ახუნდოვი № 12—იბრაგ. გიიგაროვი. აღინ. კანტემიროვი,

---

ტერის რესპუბლიკა, მაგრამ ბნელი ძალები აგვიმხედრდენ, გველობებიან წინ და [illegible] გვიშლიან.

ბიუჯეტი უკვე შედგენილია. დეკრეტებიც მზათ გვაქვს. მხოლოდ გამოცხადებაა საჭირო! შემოსავალი დიდათ აღემატება გასავალს. სხვა რომ არა მივიღოთ რა სახეში, ჯერ მარტო ბოლოკ, ხახვ, კიტრ-ნესვების შემოსავალი შეგვინახავს ერთს კი არა ორ პრეზიდენტსაც.

რევოლუცია აქეთკენ ღრმავდება და ფართე მასსაში დიდი შეგნება შედის..

თუ ღმერთმა ჰქნა და კიდევ არ გაგრძელდა ეს დღეები, ერთობა სრულიად განხორციელდება: ყველა თანასწორ მშიერნი, მწყურვალნი, შიშველი და ტიტველები ვიქნებით.

ერთი მეორეს ველარ დავსცინებთ.

ერთი მეორეს ხარბის თვალით აღარ შევხედავთ. ნამეტანი არც მშიერი იქნება და არც მაძღარი. არც მდიდარი და არც ღარიბი,

არც მონა და არც ბატონი..

ყველას გვექნება ყველაფერი და არავის კი არაფერი.

გაუმარჯოს რევოლუციას.

რევოლუციონერი.

საახალწლოთ ქართველ ფუტურისტ-სიმვოლისტებს...

თეთრი ნაზუქი,
ლორი ნასუქი!
ცისფერი ყანწი,
მამა-პაპურათ ასწი!
და წითელო ნუნუავ!
ყრონტისკენ გასწი!!..

მოფუტურისტე მგოსანი.

ფელეტონი.

ჩვენებური მიწერ-მოწერა.

წერილი პირველი.

დაო ოლინკა! პირველად შენს მშვიდობას და კარგათ ყოფნას, შენის საყვარელ ქმარ-შვილით, ყოვლის შემძლებელ ღმერთს ვსთხოვ.

გარდა ამისა, ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, მიკითხავ დაო!

გმადლობ, შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე! სული მიდგია..

ცოცხალი ვარ ჯერ კიდევ, თუმცა ახლანდელს ჩვენს სიცოცხლეს—ცოცხლობა არც კი ეწოდება.

მაგრამ რა ვქნათ?.

ცოცხალი ადამიანი, თურმე, ყველაფერს შეეგუება, ყველაფერს აიტანს.

კუჭი მწარე ყოფილა. ყველაფერს დაგავიწყებს. როცა მოშივდება ის აღარაფერს არ კითხულობს, არაფერსაც არ აფასებს.

ყველაფერი მისთვის ერთია..

მას საზრდო, საჭმელი მიაწოდე და შენ, თუ გინდა ასათ გასკდი, გაირიე მუცელზედ...

აბა, ოლინკაჯან! სად მე და სად კოკით წყალის მოტანა, შეშის დაპობა, სადილის გაკეთება?!

რომ მნახო დაო, ველარც კი მიცნობ!

მოსამსახურეები აღარ გვყავნან..

სასმელ-საჭმელს ველარ ვშოულობთ. ფული რომ გქონდეს, საყიდელი არაფერია.

საყიდელი რომ იქნეს, მყიდველი არ არის. ჩვენზე უცოდველესი დღეს, არავინაც არ მეგულება!!

ფერჩატკებში, წინეთ ჩაფუნთულებული ჩემი ხელები რომ ნახო ახლა, გული მოგეკვდება:

ათგან და ოცგან დამწვარი ჰადის გამოცხობის დროს, ნახშირ-ნავთით გამხუპნილ გასვრილი, უცხოს ვერავის ვერ ვეჩვენები!...

შენ გიკვირს, ალბათ, მე და სადილის გაკეთება?! დღეს ჩემო დაიკო, ნურაფერიც ნუ გაგიკვირდება. გახსოვს, დედა, რომ გვიწყრებოდა, სამზარეულოში ნუ შედიხართ, იქ კაი რაუნდა ისწავლოთო?!

ნეტავი იმ დღეს!

ჩვენ კი მაინც შევდიოდით და ჩვენის ცელქობით ვაცდენდით, მარტო, მზარეულ ქალს.

ვინ იცოდა, მაშინ დედა უფრო გვამახინჯებდა თავის მაშინდელ აღზრდა-განათლებით, თუ სამზარეულოში სიარული?!

ვინ წარმოიდგენდა თუ ცხოვრების ჩარხი ასე უკუღმა გადაგვიტრიალდებოდა და დღეს მე თვითონ მზარეულ ქალის როლში გავჩნდებოდი?! იმ დღეს ლობიო შევკაზმე.. დავამზადე ჰადები. (პურს კი მხოლოთ კვირა-უქმეებზე თუ ვშოულობთ).

ქვაბი შემოვდგი, მინდოდა წყალი ამედუღებია!..

უცებ ხელი წამოვკარ ქოთანს და შეკაზმულ ლობიით სავსე ქოთანი ლუკმა-ლუკმა ვაქციე... სიცილ-ტირილი ერთმანეთში ამერია... თვალები ცრემლებით ამევსო. ძლიერ გავჯავრდი.. მწარე ნაღველი შხამათ გადამექცა გულის მიდამოებზე...

ფიქრებმა შორს გამიტაცეს და უცნაური საკითხები დამიყენეს თვალის წინ:

— ვინ ვიყავით და რანი ვართ?

როდემდის ვიქნებით ასე ან რათვის?!

ექნება ბოლო ჩვენს ტანჯვებს და თუ ექნება, როდის?!

მივდივართ კი წარმატებისაკენ და თუ მივდივართ როგორ, რა სახით?!

აი, საკითხები, რომლის პასუხსაც დაო ოლინკავ, შემდეგ წერილში მიიღებ ჩემგან.

ახლა კი ნახვამდის!

მომიკითხე შენი მეუღლე, მაზლები და რძლები...

სიკვდილამდის შენი მოყვარული და ელენკო.

რედაქტორ-გამომცემელი

თეოფ. ხუსკივაძე.

მოსკოვში აუტანელი შიმშილობაა თითო კაცს დღეში აძლევენ ერთ მერვედ გირვანქა პურს.

—

ბოლშევიკებმა წინადადებით მიმართეს უკრაინას, რათა დაიწყონ შეთანხმებაზე მოლაპარაკება საფუძვლად, დაედება უკრაინის დამოუკიდებლობის აღიარება.

—

გაზეთები იტყობინებიან, რომ იბეჭდება დეკრეტი, რომლის ძალითაც რუსეთის ყოველი მცხოვრები 18 წლიდან 50 წლამდე ჯარში იქნება გაწვეული.

—

ინგლისმა არ აღიარა რუსეთის ელჩად ბოლშევიკი ლიტვინოვი.

—

მოელიან აგარაკებისა და საეგარაკო მამულების ნაციონალიზაციის დეკრეტს.

—

პეტერბურგში მოელიან საყოველთაო ქუჩების წმენდის ბეგარას, შემოიღებენ აგრეთვე საყოველთაო წითელგვარდიელ ბეგარას.

—

ილიოდორი დახმარებს აღთქვამს ბოლშევიკებს მასი ძმა დანიშნულია საზღვარგარეთული პასპორტების მიმცემ კომისრად.

—

მოელიან უკრაინელების მიერ ქალაქ ეკატერინოსლავის დაჭერას.

—

ჩრდილო აღმოსავლეთით უკრაინელები განსაკუთრებულ არმიას ადგენენ.

—

დონის საგლეხო ყრილობამ აუცილებლად სცნო დონის პარლამენტისა და მთავრობის აღიარება, რომელშიც 19 წევრი შევა ატამანი კი მხოლოდ ჯარის უფროსი უნდა იქნეს.

—

ირკუტსკში სიწყნარე ჩამოვარდა აღმოსავლეთიდან ჩინეთის ჯარები დაძრულან.

სოფლებში მყოფ

ქართველ ოფიცერთა და ჯარის-კაცთა საყურადღებოდ.

ამ ჟამად სოფლად დიდძალი ქართველი ოფიცრები და ჯარის-კაცები იმყოფებიან. ქართული პოლკები შეტოვებულია.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციამაც.

ქუთაისის გუბერნიის კომისარმა, გრ. გიორგაძემ, ამის გამო ყველა მაზრების კომისრებს წინადადება მისცა, რომ ენერგიული ზომები მიიღონ, რათა ყველა ქართველი ოფიცერი და ჯარის კაცი, რომელნიც ამ ჟამათ სოფლად იმყოფებიან, დაუყოვნებლივ დაბრუნდენ ქუთაისში და გამოცხადდენ ქართველ მსროლელთა პირველი დივიზიის შტაბში, რომელიც მოთავსებულია თბილისის ქუჩაზე ყოფილ სასტუმრო „ერმიტაჟში“.

სამაზრო კომისრებმა თავის მხრით სასწრაფოთ უნდა მისწერონ რაიონებისა და სოფლების კომისრებს, რომ ეს განკარგულება სისრულეში მოიყვანონ, აუხსნან ჯარის კაცებს, რომ ისინი ფრონტზე არ გაიგზავნებიან, არამედ დაიცავენ სამშობლოს სამზღვრებში წესიერებას.

გუბერნიის კომისრის განკარგულებით ის ჯარის კაცები, რომელნიც წინააღმდეგობას გასწევენ და ამ განკარგულებას არ დაემორჩილებიან, დაპატიმრებულ და წარმოდგენილ უნდა იქნენ ქუთაისში.

ასეთი განკარგულება ფრიად სიყურადღებოა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სოფლად მყოფი ოფიცრები და ჯარის კაცები ჩაუკვირდებიან თანამედროვე მდგომარეობას და ეროვნულ ჯარის ნაწილებს დაუბრუნდებიან.

სასკოლო ავტონომია.

ქართველებს ბევრი საერთო საქმე გვაქვს გასაკეთებელი. უსაფუძლო იქნება იმისი თქმა, რომ ჩვენ ამ საერთო საქმეებს არ ვაკეთებდეთ, მათი მოგვარებისათვის არ ვცდილობდეთ. უეჭველია საერთო საქმეები ჩვენში კეთდება, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ არც ერთ საერთო საქმეს თანხმობით არ ვაკეთებთ. მუშაობის უმეტეს ნაწილს ერთმანეთის კინკლაობას ვანდომებთ. ასეთი კინკლაობა ხშირად საზოგადო საქმის კეთებას აფერხებს და სათავეშივე ფუშავს. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი სასკოლო საქმე. ვინ არ იცის ძველი რეჟიმის დროს თუ რა დევნა-წვალებას განიცდიდა ქართული ენა ჩვენ სკოლებში. დღეს, მადლობა ღმერთს, ამას ვეღარ ვხედავთ, მაგრამ თავსამტვრევად სკოლების მოვლა-პატრონობა გაგვხდომია. ჩვენთაგანი ყველა ქართული სკოლების დაპატრონებას ცდილობს. დღევანდელი თავისუფლებას სკოლების ავტონომიაც თან მოყვა. ავტონომია სკოლისა კი თავისთავად იმას გულისხმობს, რომ შინაური მართვა-გამგეობა სკოლისა თვით სკოლას ეკუთვნის. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ყოველივე სკოლა, უმაღლესია, საშუალოა თუ დაბალი, თავის თავს, თავის ჭირ-ვარამს თვითონ უფრო იცნობს და მის განსაკუთრებულ შესაფერ წამალს თითონ უფრო გამოძებნის. ქუთათურ სასწავლებლებს შორის ჯერ ასეთი უფლება არც ერთ სასწავლებელს არ წართმევია, მხოლოდ ეხლა, რამდენიმე გარეშე პირი, ცდილობს პირველად კაკალი წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის თავზე გასტეხოს. საკვირველია, ღმერთმანი, სხვა სასწავლებლების ბამბაც ჩხრიალობს და მათ ვერავინ ვერ ეკარება და წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელს, რომელიც სხვა სასწავლებელზე ნაკლებ არცა ხნავს და არცა სთესავს რას ერჩიან, რომ ერთი ჯგუფის ადამიანებს მიზანში აქვსთ ამოღებული, აგერ კაი ხანია, და ამ სასწავლებლის შესახებ ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ.

წმინდა ნინოს სასწავლებელი თავისთვის წყნარად მუშაობს და ყვირილისათვის არა სცალიან. კარგი იქნება ამ სასწავლებლის ავტონომიურ ცხოვრებას ხელს არავინ ახლებდეს, თორემ ყველა ღირსეულ პასუხს მიიღებს. —

მ. ბუაჩიძე.

შიში!

(როგორ სტოვებს ჯარი კავკასიის ფრონტს).

მ. ვოზნესენსკის ვინმე მურატოვის ნაამბობიდან (იხ. გაზ. „რესპუბლიკა“) მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ სტოვებს რუსის ჯარი კავკასიის ფრონტს.

მთელი კავკასიის ფრონტი მურატოვის თქმით თავისებური ბოლშევიზმით არის მოწამლული. ჯარი მოითხოვს, დაუყოვნებლივ შინ გაგვიშვითო, თავის ნებით სტოვებს ფრონტს,- ბრძოლით იჭერს მატარებლებს და მხოლოდ მაშინ მოდის გონს, როდესაც თავის სამშობლოში მივა.

ფრონტის ბოლშევიკები მზად არიან შეებრძოლონ და გაუსწორდენ ყველას, ვინც მათ დაკავებას შეეცდება.

რა თქმა უნდა, აღარავინ ფიქრობს ამ გაბრაზებულ, მასიურ ფსიხოზით შეპყრობილ ხალხის შეჩერებას.

დათხოვილ ჯარისკაცებთან ერთად მთელი ჯარი ნაწილებიც მიდიან. მიდიან, რადგან მათი აზრით ეხლა „ყველაფერი ნებადართულია“. შინაურებზე ფიქრი და ხმები, თითქმის მიწების დარიგებას უკვე შეუდგენ, ჯარს მოსვენებას არ აძლევს და ბრძოლის ველს ატოვებინებს.

ჯარისკაცებს თან მიაქვთ თოფები და პატრონები.

პირველად არმიის კომიტეტი ამ მოვლენას ებრძოდა, მაგრამ წინააღმდეგობა შეუძლებელი გახდა, რადგან ჯარმა საწყობები დაარბია და იარაღის გატაცება დაიწყო.

ფრონტის მახლობლად რკინისგზები გავსებულია მატარებლებით. ორთქლ მავლებს, ვაგონების სახურავებსა და სახურავებს ჯარისკაცები ბუზივით ახვევია გარს. სახურავებზე მიკალათებულთ ხელ-ფეხი ეყინებათ, ზოგი მათგანი ვეღარ სძლებს ძირსვარდება და იღუპება. ზოგან სახურავებიდან ვაგონში მყოფთათვის სროლაც აუტეხიათ: ადგილები ჩვენ დაგვითმეთო.

რკინისგზის მოსამსახურენი ჯარის ტერორის გამო საშინელ გაჭირვებას განიცდიან.

ჯარის წასვლის შემდეგ ფრონტზე ხშირად დიდძალი სურსათი, ტანისამოსი და იარაღი რჩება სრულებით უპატრონოდ.

რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევებით სარგებლობენ ქურთები და თარეშს იწყებენ. ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი. მოურიდებლად თავზ ესხმიან ჯარებს, მიაქვთ სურსათი, არბევენ იარაღის საწყობებს და მიერეკებიან საქონელს. ერთ ადგილს სპარსეთის მახლობლად, წასულმა ჯარმა 40 ათასი ფუთი ფქვილი დასტოვა. რამოდენიმე დღის განმავლობაში ეს ფქვილი ქურთებს სულ დაეტაცათ.

ქუთაისის

გუბერნიის და ბათომის ოლქის სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.

ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის სამოსწავლო კომისარიატი ამით აუწყებს სახალხო შკოლების მასწავლებელთ, რომ პირველ იანვრიდგან მომავალი 1918 წლისა **ყოველგვარი მიწერ-მოწერა საგუბერნიო სამოსწავლო კომიტეტთან უნდა სწარმოებდეს ქართულათ,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულ იქმნება საოლქო კომისსარიატიდან.

საგუბერნიო სამოსწავლო კომისარიატის წევრნი: **ნ. მგელაძე მ. გავაშელი**

გ. ჭუმბურიძე.

საზოგადოების საყურადღებოდ.

პირველ იანვრიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო რიალურ სასწავლებლიდან ასამდე ღარიბი მოწაფეები უნდა გამორიცხონ. ამდენი მოწაფეთათვის სწავლის კარების დახურვა ხომ დიდი უბედურებაა, და ამიტომ მშობელთა წრე მათდა საშველად და დასახმარებლად სამშაბათს ორს იანვარს ქუთაისის საკრებულო დარბაზში მართავს მშვენიერად მოწყობილ საღამოს.

ქუთაისის მოქალაქენო! ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს, შეეწიეთ ღარიბ მოწაფეებს და ნუ დაუხშობთ მათ სასწავლებლის კარებს, დაესწარით საღამოს, თქვენც ისიამოვნეთ გაერთვეთ და პატარა მოსწავლეთა გულიც გაახარეთ. გაიხსენეთ დიდებული კაცის ნათქვამი სიტყვები: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“-ო და თქვენ სამაგიეროდ მიიღებთ სწავლა მეცნიერებით აღჭურვილ მოქალაქეებს.

მშობელთა წრის მონდობილობით.

ვ. მასხულია.

—

P. S. სხვა გაზეთებსაც ვსთხოვ ამის გადასტამბვას.

ახალქალაქის ქართული გიმნაზიის სასარგებლოთ.

შემოსწირეს ფული შემდეგმა პირებმა:

ზ. ა. დელიბაშმა.. 100 მან. ნ. ი. კურცხალიამ 5 მან. იაკობ შავარდენაძემ 5 მან. ა. ივანოვმა 5 მან. ბ. ნაკაშიძემ 5 მან: ვ. ა. ჭრელაშვილმა 5 მ. პ. ლ. კალანდარაშვილმა 5 მ. გრ. ბერძნიშვილმა 5 მან. იაკ. პ. კოსტავამ 5 მან. ქალბ. დუგლიძემ. 5 მ. ს. ბერძნიშვილმა. 5. მ. ქალ-ბერიძემ-5 მ. ქალ. საკაშვილისამ-5 მ. კ. ა. ჯაფარიძემ. 5 მან. ა. გ. ჭეიშვილმა-5 მ. ქალბ. კაჭკაჭევისამ 7 მან. ს. შანიძემ. 5 მ., ლ. შანიძემ. 5 მან. ლ. ქარუმიძე-1 მან. ნ. გრეკოვმა-1 მან. პრ. უკლებამ 2 მან. ვას. ნოვიკოვმა 2 მ. კუპრაშვილმა 1 მან. ის. დოლიძემ 1 მან. დ. მ. ლომაძემ 5 მან. ბატ. ხოშტარიამ 3 მან. ბატ. მაკალათიამ 2 მ. ი. წულუკიძემ 1 მან. ონ. ვარდოსანიძემ 1 მან. მე. დოლაბერიძემ 2 მან. მე. აბდალაძემ 3 მან. ვლ. ჩულუხაძემ. 3 მან. მე. ბოლქვაძემ 5 მან. ი. მესხმა. 5 მან. და შავგულიძემ 5 მან. ლავ გაჩეჩილაძემ 3 მ. ბატ ჩხენკელმა 1 მან. ტრ. მიქაბერიძემ 2 მან. ალ. კატარმასოვსკიმ. 2 მან. ვ. ბერდზენი. 2 მან. მ. ჩუმბურიძისამ 2 მან. ა. ხითაროვმა 5 მან. მ, წიქორიძისამ 2 მან. ზ. ჩიგოგიძემ. 3 მან. გ. მეძმარიაშვილმა 2 მან. პ. ქუთათელაძემ 2 მან. მიხ. აბულაძემ 3 მ. მარ. გვინჩიძისა 1 მან. დ. მეძმარიაშვილისამ 1 მან. ა. კვალიაშვილისამ 2 მ. ქალ. ფხაკაძისამ 1 მ. ივ. აბულაძემ 5 მან, ტერ. გრიგორიანცმა 1 მან. გ. გეგეჭკორმა. 2 მან. მ. გვინჩიძემ 3 მან. გაბისონიამ 1 მ. ლოლაძემ 2 მან. ს. აბულაძემ 3 მან. ა. ჭეიშვილისამ. 1 მან ალ. შანიძემ 5 მან. თ. ხოხიაშვილმა 1 მან. ბატ. ხამაშურიძემ 1 მან. გ. კეკელიძემ 3. მან. გ. ბრეგაძემ 1 მან. ნ. ქათამაძემ 1 მან. სულ შეგროვდა 307 მან. ეს ფული გაგზავნილ იქმნა 21 დეკემბერს ახალქალაქის კომიტეტის თავმჯდომარე ვნ. ოქროპირიძის სახელზე. პოსტ. ბარათი 978 ზ. ა, დელიბაში, რომელსაც ზემოაღნიშნულ კომიტეტმა დაავალა ფულების შეგროვება გულითად მადლობას უძღვნის ზემოთ მოხსენებულ პირთ თანაგრძნობისა და შემოწირვისათვის.

მადლობის გამოცხადება.

მოქალაქე რედაქტორო, გთხოვთ საშვალება მოგვცეთ თქვენი გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, ვინც თანამგრძნობთა შორის მოაგროვა შემოწირულება ჰრებალოს რაიონის ხიდის გასაკეთებლათ და გადმოვცა ჩვენ: ლუკა აპოლონისძე სელულაძემ თავის მხრივ 50 მან, მოგროვილი 145 მან. ღარვენტი ოტიას ძე ბენდუქიძემ გაგრაში მოგროვილი 322 მანათი, გალაქტიონ ქრისტესას ძე ჩ̈ელიძემ, ბაქოში მოგროვილი 239 მან. 50 კაპ, სოლომონ მასხარაშვილმა პირადათ შემოსწირა 300 მან. ხიდის კომიტეტმა წინასწარი ხარჯებისთვის 115 მან. სულ. 1171 მან 50 კ.

დაწვრილებით ანგარიში თუ ვინ რამდენი შემოსწირა დაიბეჭდება მაშინ, როდესაც დამთავრდება შემოწირულებათა მოგროვება.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე პოლიოქტე ვაგოშიძე, ხაზინადარი, ბიკტორ სოხაძე.

შემოწირულება.

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სოც. გვეუთის ახლად დაარსებულ უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს შოთა რუსთა-ველის სახელობაზე თავისი წვლილი შემოსწირეს და ამით ხელი შეუწყვეს სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ამასთანავე გაახლებთ შემომწირველთა სიას: ჩვენი ქვეყნის რედაქციამ ნახევარი წლით გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, გრიშა ხვადაძემ ოთხი თვით გაზეთი „ალიონი“.

ხუთ ხუთი მანეთი: ილიკო ჯიქიძემ და მარო ქელიძისამ. სამ-სამი მანეთი თამარა აბაზაძისამ, ეპიფანე სირაძემ, და კარპე გაბუნიამ, ორი მანეთი სანებლიძე ბიქტორმა.

თითო მანეთი: დიმიტრი იაშვილმა, გრიგოლ მაჭავარიანი, ვასილ გაბუნია, ნიკ. გაბუნია, თედ. ძიგუა, გრიშა გიგიაძე, პიმენ გაბუნია, ელპიტე გაბუნია, ელენე გაბუნია, და ივანე გაბუნიამ. ათიშაური სერგო ბოდოკიამ და კარპე გაბუნიამ ხარიბა ტანისამოსი [illegible] ყველა ზემო აღნიშნულ პირთ გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს. განსაკუთრებით „ჩვენი ქვეყნის რედაქციას, და გრიშა **ხვადაძეს.**

გამგეობის მონდობილობით აგრაფინა ჩხაიძის ასული.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

იყიდება

სახლი და ადგილი ბალახვნის ქუჩაზე. № 84. ადგილი ზომით 264 ოთხკუთხი საჟენი, ფასის [illegible] ლო[illegible] ქუჩა [illegible] სახლი ტ. ასათიანის ბინა.

სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვსპობ სახეზე მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილევს და ყოველ გვარ სახის ავადმყოფობას.

ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერტლს ანუ ქეტერს, აგრეთვე ცვენას.

ავათმყოფები მიიღება მხოლოთ დილის 10 სათ. 2-მდე.

რჩევა და დარიგება ერთი მან. მისამართი დადიანის შესახვევში კოსტავას სახლი № 17.

ექიმი ქ. ს. ადამია იღებს საბებიო, შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფთ. დილის 11 საათ. 1 საათ. საღამ. 6 საათ. 8 საათ. ბალის ქუჩა სახლი სანიკიძის № 12.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გეტუშინსკის სახლი

ექიმი

ვ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

ექიმი

ა. მ. ასათიანი ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სოად. ტელეფონი № 135.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მეორე ყრილობა

მთავარ კომიტეტის დადგენილებით მოწვეულ იქნება 1918 წელს, იანვრის 14.

ყრილობის წეს-რიგი.

სატაქტიკო საკითხები:

ა) პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა. ბ) საქართველოს სამხედრო, საფინანსო და სამეურნეო მდგომარეობა. გ) საქართველოს ეროვნული საბჭო და დამფუძნებელი კრება. დ) ეროვნული საკითხი.

საპროგრამო საკითხები: ა) პოლიტიკური საგანი. ბ) აგრარული საგანი.

საორგანიზაციო საკითხები: 1) მთავარ კომიტეტის მოხსენება. 2) პარტიის ორგანიზაციების მდგომარეობა და წესდება. 3) არჩევნები.

ყრილობის მოწვევა დავალებული აქვს მთავარ კომიტეტისაგან საგანგებო კომისიას, რომლის პრეზიდიუმში შედიან: ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი და პართენ გოთუა.

მოწოდება.

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა საბჭოსთან არსებული თავდაცვის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს, ყველა სახლების და სავაჭრო-სამრეწველოების მეპატრონეებს დაუყოვნებლივ, სასწრაფოთ გაიკეთონ საკუთარი ხარჯით ლამპები და გაანათონ თავიანთი სახლებისა და სავაჭროების წინ მდებარე ქუჩები. სადაც ელექტრონის მთავარი ხაზი გადის და ელექტრონის ენერგია იშოვება, იქ უნდა განათდეს ელექტრონის მცირე ძალიანი ლამპებით, არა ნაკლები 50 სანთლიანი ძალისა თათო ლამპა (ეკონომიური) ხოლო, სადაც ელექტრონის ენერგია არ იშოვება ანუ ელექტრონის მთავარი ხაზი გასანათებელ ალაგს ანუ ქუჩას დაშორებულია 10—15 საჟენის მანძილით, ასეთ ადგილებში ჩვეულებრივი ნავთის ფარნები დადგან და მით გაანათონ ქუჩები. კუთხის და დიდ შენობების პატრონებს ევალებათ რამოდენიმე ლამპა გაიკეთონ თავიანთ შენობაზე, ხოლო პატარა შენობების და წვრილი სავაჭროების პატრონებმა უნდა შეერთდენ რამოდენიმემ ერთად და შეერთებული ძალით გაანათონ თავიანთი მამულის წინ მდებარე ქუჩები.

ელექტრონის სადგურების პატრონებს ევალებათ ელექტრონის სინათლე იქონიონ გათენებამდე.

ელექტრონის სინათლის გაკეთების მსურველი წინ და წინვე უნდა შეუთანხმდეს ელექტრონის სადგურის პატრონს და მიიღონ იგი დადგენილ ფასებში.

ვაჭართა საბჭოსთან არსებული თავდაცვის ცენტრალური კომიტეტი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი. ქუთაისში